


# საქართველოს



დაბარსებულია  
1918 წელს.  
სამუშაბათი, 1 ნოემბერი, 2005 წელი  
№253

# რესპუბლიკა



## გიორგი ციციშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ღვაწლმოსილი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გიორგი შალვას ძე ციციშვილი**, რომელმაც განვლო სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელოვანი გზა. წლების მანძილზე იგი იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი და თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი. ყველგან, სადაც მოღვაწეობდა, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და საქმისადმი ერთგულებით. მან მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა, ხოლო მაღალმხატვრული რომანებითა და ნოველებით ქართული მწერლობა.

გიორგი ციციშვილი დაიბადა 1922 წლის 23 ნოემბერს, თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ბავშვობიდანვე ახასიათებდა მტკიცე ხასიათი,

სიბეჯითე და მიზანსწრაფულობა. 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) სამშენებლო ფაკულტეტზე – ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. 1939 წლიდან პარალელურად ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1941 წელს, ომის დაწყებისთანავე, იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა. იგი გაიწვიეს არმიაში და კურსანტად ჩაირიცხეს ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1942 წელს ლეიტენანტის წოდებით და გაიგზავნა ფრონტზე, სადაც სხვადასხვა დროს საარტილერიო ჯარებში მეთაურის საპასუხისმგებლო მოვალეობებს ასრულებდა. მუშაობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. უშუალოდ მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში და ლენინგრადის ბლოკადისაგან განთავისუფლებაში. ომის დამთავრების შემდეგ გ.ციციშვილი არჩეულ იქნა ლენინგრადის საპატიო მოქალაქედ. იგი დაჯილდოებულია მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით.

1947 წელს, პირადი თხოვნის საფუძველზე, დემობილიზებულ იქნა არმიის რიგებიდან და შეწყვეტილი სწავლა დაამთავრა.

1950 წელს გ.ციციშვილი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1953 წელსვე მუშაობა დაიწყო ლიტერატურის ინსტიტუტის თეორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად. მან წარმატებით გაიარა ყველა სამსახურებრივი საფეხური მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის ჩათვლით.

1961 წელს გ.ციციშვილის ძალისხმევით ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება, რომელიც იყო ასეთი პროფილის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ერთეული მოსკოვის მ.გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის შემდეგ. განყოფილებამ ირგვლივ შემოიკრიბა როგორც ცნობილი, ისე ახალგაზრდა მკვლევარები და გაიშალა ფართო სამეცნიერო მუშაობა მსოფლიო მხატვრულ კულტურასთან ქართული ლიტერატურულ-მხატვრული კავშირების შესწავლის მიზნით. სულ მალე ლიტერატურის ინსტიტუტი გადაიქცა მძლავრ ცენტრად, რომელიც კოორდინაციას უწევდა ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის სხვა ქვეყნების კულტურასა და ლიტერატურასთან ურთიერთობის კვლევის საქმეს. ამ დარგში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არა მარტო ადგილობრივი სპეციალისტები, არამედ კვალიფიკაციას იმაღლებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მოვლინებული ახალგაზრდა მეცნიერები.

განსაკუთრებით ნაყოფიერად გაიშალა გ.ციციშვილის სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. დირექტორად 1985 წელს დანიშნვის დღიდან მთავარი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო

საქმიანობის ყოველმხრივ გაძლიერებას: გაიზარდა მეცნიერ თანამშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, მრავალფეროვანი გახდა სამეცნიერო კრებულები, განახლდა კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა.

1977 წელს გ.ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, ხოლო 1985 წელს – მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. იგი 6-ჯერ იყო არჩეული საკავშირო მწერალთა კავშირის ყრილობათა დელეგატად.

1979 წელს გ.ციციშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1988 წლიდან 2002 წლის ივნისამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას. 1987 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გ.ციციშვილი ავტორია 125-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 23 ცალკე წიგნადაა გამოცემული. მას ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საჟურნალო და საგაზეთო წერილი. მრავალფეროვანია მისი კვლევის სფერო, რომელიც შეეხება ლიტერატურული ურთიერთობის, ლიტერატურის ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის კარდინალურ პრობლემებს. მის კალამს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია საკავშირო ფუნდამენტურ გამოცემებსა და ბეჭდვით ორგანოებში. ეს ნაშრომები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და მეცნიერული დონით.

წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას გ.ციციშვილი კარგად უთავსებდა აქტიურ ორგანიზაციულ და პედაგოგიურ საქმიანობას. წლების მანძილზე იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მეცნიერის ორგანიზატორული ნიჭი სხვა სფეროშიც გამოვლინდა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო ვეტერანთა თბილისის საქალაქო სექციის პრეზიდიუმის წევრი, ხელმძღვანელობდა საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს.

გ.ციციშვილი იყო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მრავალი პრობლემური საბჭოს, ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებისა და სხვადასხვა სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების წევრი. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ფორუმებსა, კონგრესებსა და საქმიან შეხვედრებში. 1997 წელს იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ცალკე უნდა შევეხოთ გ.ციციშვილის დამსახურებას ქართული მწერლობის წინაშე. ომის გზებზე ნახულმა და განცდილმა თავისი ასახვა ჰპოვა მის რომანებსა და ნოველებში. წიგნში „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ აშკარად გამოიკვეთა მწერლის მახვილი ალლო და უშუალოება, მისი

შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ავტორი გვიჩვენებს სიყვარულისა და სიკეთის უძლეველობას, რომელიც სისხლიანი წვიმების დროსაც კი აღანთებს ადამიანებს გამარჯვებისა და მომავლის რწმენით. მეორე რომანი „სძლიე სისარბესა შენსა“ ეხება ჩვენს ქვეყანაში 70-იანი წლების ბოლოს გამეფებულ საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ პრობლემას, რომლის მიძიმე შედეგებმა მომდევნო წლებში დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის განვითარებას. მწერალი ამხელს სისარბის მანკიერებას და მიუთითებს მისი აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

გ.ციციშვილის სახით ქართულმა საზოგადოებამ დაკარგა დვაწლმოსილი მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავისი ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული პიროვნება, რომლის ნათელ ხსოვნას დროუბამ ვერ დაჩრდილავს.

*თ.გამყრელიძე, ა.აფაქიძე, ე.გამყრელიძე, გ.გველესიანი,  
მ.ზაალიშვილი, გ.თევზაძე, ფ.თოდუა, გ.კვარაცხელია, გ.კვესიტაძე,  
ჯ.ლომინაძე, რ.მეტრეველი, ო.ნათიშვილი, თ.ონიანი, მ.სალუქვაძე,  
რ.სანაძე, გ.გ.ციციშვილი, გ.ხარატიშვილი, გ.ხარაძე, ჯ.ხეცურიანი,  
ზ.ალექსიძე, მანდრონიკაშვილი, გ.ბენაშვილი, მ.ბერძენიშვილი,  
რ.გორდეზიანი, ა.კალანდაძე, გ.თოთიბაძე, გ.თოფურია,  
ქ.ლომთათიძე, მ.მერაბიშვილი, თ.ყაუხჩიშვილი, მ.შანიძე, გ.შარაძე,  
ზ.წერეთელი, ე.ხინთიბიძე, ე.ჯაფელიძე, ნ.ჯუსოთი, რ.ამაშუკელი,  
ჭ.ამირეჯიბი, გ.დონანაშვილი, მ.მაჭავარიანი, რ.მიშველაძე, ს.სიგუა,  
ჯ.ჩარკვიანი, თ.წიფწივაძე, თ.ჭილაძე, ო.ჭილაძე, კ.გარდაფხაძე,  
გ.გვეტაძე, ბ.ყურაშვილი.*